# ა(ა)იპ ჩემი ევროპული სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

წინამდებარეანგარიში ასახავს სკოლაში 2023-2024 სასწავლო წელს სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობებისა და მათი შესრულების ანგარიშს.

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სასკოლო საზოგადოების აქტიური თანამშრომლობით რევიზირებული იქნა სკოლის ფილოსოფია, შემუშავდა სტრატეგიული განვითარების გეგმა და შესაბამისი ერთწლიანი გეგმა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით მოხდა საგაკვეთილო პროცესებზე დასწრება, მასწავლებელთა საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ მოეწყო რამდენიმე სასწავლო სესია ბავშვის პიროვნული განვითარების, აგრესიის და ოჯახის როლის გააზრებისათვის და რთული ქცევის მართვის ტრენინგი. სკოლამ მოიწვია და უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების შეხვედრა ფსიქოლოგთან.
წლის განმავლობაში ჩატარდა 3 დიაგნოსტიკური წერა ყველა საგანში გარდა სპორტისა. წერის დროს გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე მოსწავლეებთან იგეგმებოდა და ხორციელდებოდა დამატებითი სარემედიაციო მეცადინეობები სამეცადინო/გახანგრძლივებული საათის ხარჯზე მშობელთან შეთანხმებით. მთელი წლის მანძილზე ხდებოდა ახლი მიდგომების დანერგვს ხელშეწყობა საგაკვეთილო პროცესში. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მოსწავლეებში ცოდნის აგების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით მომდევნო სასწავლო წელსაც ბევრია სამუშაო. ეს არის პროცესი რომელიც სისტემატურ დაკვირვებას/ანალიზს და განვითარებაზე ფიქრს მოიცავს.
გამოკითხული იქნა მშობლები, რათა დადგენილიყო მათი დამოკიდებულება სკოლის მიმართ და მათი მხრიდან მიგვეღო სკოლის შეფასება, რომელიც მოოგვცემდა საშუალებას მომდევნო სასწავლო წელი უფრო ეფექტიანად დაგვეგეგმა. აღნიშნული კვლევის ანგარიში ცალკეა წარმოდგენილი. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საფეხურის კურიკულუმის (ამ შემთხვევაში დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის, რადგან სკოლაში მხოლოდ დაწყებითი საფეხური ფუნქციონირებდა საანგარიშე პერიოდში) დანერგვის ხელშეწყობა და მონიტორინგი. აღნიშნული პროცესის ანგარიში ასევე წარმოდგენილია. მნიშვნელოვანი გამოწვევაა სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესის ეფექტიანად და ეფექტურად მართვა. ამ მიმართულებით შემუშავდა ინდ.გეგმები, შეიქმნა ისგ ჯგუფები თითოეული სსსმ მოსწავლისათვის და სასწავლო პროცესი ამ ბავშვებისათვის გეგმიურად წარიმართა, წლის ბოლოს განხორციელდა მონიტორინგი.
სკოლა მუდმივ რეჟიმში მუშაობს პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების განვითარების მიმართულებით. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღება დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, მშობელთა ჩართულობითა და მონაწილეობით. სასწავლო წლის მანძლზე მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება და

მასწავლებელთა საჭროებების გამოვლენა, კონსტრუქციული უკუკავშირების გაცემა და გამოცდილების გაზიარება  არსებული გამოწვევების დასაძლევად.

სადამრიგებლო ინსტიტუტის გაძლიერების მიმართულებით შემუშავდა დამრიგებლის პორთფოლიოს ფორმა, რომელიც ბევრად ინფორმაციულია და საკმაოდ სრულ სურათს იძლევა მოსწავლეთა შესახებ. მიმდინარე სასწავლო წელს ყველა დამრიგებელმა იმუშავა აღნიშნული ფორმით და შექმნა მოსწავლეთა სრული პროფილი. წლის განმავლობაში დამრიგებლები ხვდებოდნენ მშობლებს როგორც ინდივიდუალურ რეჟიმში ასევე საერთო კრებებზე. საერთო კრებებზე განიხილებოდა საორგანიზაციო საკითხები და ხდებოდა მშობელთათვის სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი აქტების გაცნობა, ინდივიდუალურ შეხვედრებზე კი განიხილებოდა მოსწავლის საჭიროებები და იგეგმებოდა საჭიროებიდან გამომდინარე შემდგომი ნაბიჯები.

სკოლაში განხორციელდა ყველა მარეგულირებელი აქტის რევიზია და ახალ სტანდარტებთან (გარე შეფასების ინსტრუმენტთან) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შემუშავდა ან/და განახლდა მთელი რიგირ დოკუმენტაცია. გადამოწმდა პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეები.

სკოლა ახალია, შესაბამისად მნიშვნელოვანია მისი ცნობადობის ამაღლება რეგიონის მასშტაბით ამიტომ დიდი ყურადღება ექცეოდა წლის განმავლობაში ვებგვერდისა და სკოლის სოციალური ქსელის ფუნქციონირებას, სანდო და ობიექტური ინფორმაციის განთავსებას და სკოლის რეკლამას.

მოსწავლეთა მხარდაჭერა სკოლაში შეიძლება ითქვას ტრადიციაა. სკოლა მცირეკონტიგენტიანია და თითოეული მოსწავლის საჭიროება არის შესწავლილი, გამოვლენილი და შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებული. ამ პროცესებში აქტიურადაა ჩართული სკოლის ფსიქოლოგი. მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნული პროცესის სისტემატიზაციის მიზნით შემუშავდა და ამოქმედდა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის/მხარდაჭერის მექანიზმები, მრავალფეროვანი გახდა კლუბების ჩამონათვალი, მოსწავლეებთან მათთვის გასაგებ ენაზე მიტანილი იქნა სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი აქტების შინაარსი. თუმცა ამ მიმართულებით ისევ ბევრია სამუშაო, განსაკუთრებით დისციპლინის მიმართულებით რაც მოსწავლეების მხრიდან შინაგანაწესის კიდევ უფრო დეტალურად დამუშავებას მოითხოვს.

ახალი კადრების მოსაზიდად სკოლას განთავსებული აქვს განაცხადები შესაბამის პლათფორმაზე და სამართლიანობისა და ობიექტურობის დაცვით მოხდება სკოლის საკადრო პოლიტიკის მართვა. სკოლამ მიმდინარე წელს ხელშეკრულება გააფორმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან.

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და მექანიზმები და მიყვება მის ინსტრუქციებს.

2023-2024 სასწავლო წელს ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის შევსება მოწესრიგების ნაწილში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: დასრულდა გარე სპორტული მოედნის მშენებლობა და მოწყობა, შეიცვალა შენობის სახურავის ნაწილი და მოეწყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ოთახი. სრულად მოეწყო შენობის ნულოვანი სართული და კვების ბლოკი აღნიშნულ სართულზე იქნა გადატანილი. კიბეებზე

უსაფრთხოების დაცვის მიზნით დამონტაჟდა ბადეები. სისტემატურად, წლის განმავლობაში ხდებოდა სპორტული ინვენტარის შევსება /განახლება საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლის ეზოს კეთილმოწყობა. გრინაჰაუსის მოწყობა და ზუნვა მის ბინადრებზე.